საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

რობაქიძე გრიგოლ



გ. რობაქიძე

რობაქიძე გრიგოლ (1880-1962), მწერალი, საზოგადო მოღვაწე. დაიბადა საქართველოში, სოფ. სვირში. ქუთაისის სასულიერო სემინარიის დამთავრების (1901) შემდეგ სწავლა განაგრძო იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1902-07 წლებში სწავლობდა გერმანიაში, ლაიფციგის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1932 წლამდე საქართველოში აქტიურ სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. 1932 წელს გ. რობაქიძე შემოქმედებითი მივლინებით გაემგზავრა გერმანიაში, ხოლო 1934 წლიდან იძულებით ემიგრაციაში აღმოჩნდა. გერმანიაში ცხოვრობდა 1945 წლამდე. გ. რობაქიძემ, რომელიც ემიგრაციაში წასვლამდე იყო ავტორი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისა (დრამები: "ლონდა", "მალშტრემი", "ლამარა", ქართველ მწერალთა ლიტერატურული პორტრეტები და სხვ.), მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო გერმანულ ლიტერატურას გერმანულ ენაზე დაწერილი რომანებით: "მეგი ქართველი გოგონა" (ტიუბინგენი, 1932), "ჩაკლული სული" (იენა, 1933), "ქალღმერთის ძახილი" (იენა, 1934), "მცველნი გრაალისა" (იენა, 1937) და სხვ. 1925 წელს თბილისში დაწერილი და იქვე გამოქვეყნებული

(1926) რომანი "გველის პერანგი" 1928 წელს ბერლინში გამოიცა შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით. გ. რობაქიძე ავტორია პოლიტიკურ მოღვაწეთა (ნ. ჟორდანია, ი. სტალინი, ბ. მუსოლინი, ა. ჰიტლერი და სხვ.) ლიტერატურული პორტრეტებისა. გ. რობაქიძის დრამის "ლამარას" მიხედვით რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში იდგმებოდა სპექტაკლი "ლამარა" (რეჟ. ს. ახმეტელი, 1930), რომელთანაც დაკავშირებულია ქართული თეატრის წარმატება მოსკოვში 1930 წელს ეროვნული თეატრების საკავშირო თეატრალურ ოლიმპიადაზე და 1933 წელს ქართული კულტურის დეკადაზე. 1945 წლიდან გარდაცვალებამდე გ. რობაქიძე შვეიცარიაში ცხოვრობდა. საბჭოთა პერიოდში გ. რობაქიძის ნაწარმოებები აკრძალული იყო.

გ. რობაქიძე ქ. ჟენევაში გარდაიცვალა. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.